12 აპრილი, 2013 წელ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურა

შ.პ.ს „ბაზის“ დირექტორი
დავით ფრუიძე

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ 2013 წლის 04 აპრილს შ.პ.ს „ბაზისა“ და შ.პ.ს. „რაფინატოს“ შორის გაფორმდა ო. 03/04 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც შ.პ.ს „ბაზის“ საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობა №1-ში (საერთო ფართით 931.35 კვ.მ.) არსებული 31.2 (ოცდათერთმეტიმთელი ორი მეათედი) კ.ვ-მ ფართი, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №21 ში (ნაკვეთი 08/014) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.13.01.008.014) ქირავნობის წესით გადაეცა შ.პ.ს „რაფინატოს“. დაქირავებული ფართის გარე ფასადის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შ.პ.ს „ბაზი“ თანახმაა შ.პ.ს. „რაფინატომ“ განახორციელოს გარე ფასადის რეკონსტრუქცია, თანდართული ფოტომონტაჟის მიხედვით.

პატივისცემით,

დავით ფრუიძე

ს ა ნ ო ტ ა რ ო აქტი

საქართველო, ქ. თბილისი

ორიათას ცამეტი წლის თორმეტ აპრილს, მე ნოტარიუსს მაია ბრეგვაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში – ბაზალეთის ქ. №1-ში, მომმართა **დავით ფრუიძემ,** რომელმაც წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა მასზედ ხელისმოწერის ნამდვილობის დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **დავით ფრუიძემ (დაბ.03.01.1960წ. თბილისში, მცხ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№12, პირადი №01008002457)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე განცხადებას აღნიშნული აქტით არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილ შინაარსს. გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების. მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, დღგ 0.36 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლით. 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია: 4,36 ლარი.

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130351685 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 12.04.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამო |
| ნოტარიუსი | მაია ბრეგვაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2 29-40-92 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 62596419532613 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18